



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #096/16¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ქარსელაძე ვასილი (სტუდენტი)

ფაქტები

2016 წლის აგვისტოში დ.ბ.-მ, რომელსაც დატოვებული დატოვებული ჰქონდა საქართველოს ტერიტორია და ითხოვდა გერმანიაში თავშესაფარს, მიმართა საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას და სთხოვა დაეცვა მისი და მისი ოჯახის წევრების უფლებები საქართველოში სისხლის სამართლის მიმართულებით და ასევე ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. დ.ბ.-ს ორგანიზაციამ დაუდასტურა, რომ მზად იყვნენ დაეცვათ მისი და მისი ოჯახის წევრების უფლებები სისხლის სამართლის მიმართულებით, ხოლო ადმინისტრაციული მიმართულებით უარი განაცხადეს საქმის არაპერსპექტიულობის გამო. დ.ბ.-მ თანხმობა განაცხადა ამ წინადადებაზე. ორგანიზაციიდან მის უფლებებს იცავდა ადვოკატი თ.ა. 2016 წლის 20 ოქტომბერს ორგანიზაციაში საქმის გაგრძელება ადვოკატ ე.ქ.-ს დაევალა. ამის შესახებ ეცნობა დ.ბ.-ს, რომელიც დაეთანხმა აღნიშნულ ცვლილებას. 30 ოქტომბერს დ. ბ.-მა მოითხოვა სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და ორგანიზაციის მიერ სახალხო დამცველის მიმართ წერილობითი მიმართვა მისი საქმის ობიექტურად წარმოების უზრუნველყოფის მიზნით. 08 ნოემბერს დ. ბ.-მ მიმართა ორგანიზაციას წერილით: „მშვიდობა გაქვთ ქალბატონო ე. ქ, ხომ არ დახურეს თქვენი ორგანიზაცია არჩევნების შემდეგ?“ იმავე დღეს ე. ქ-ის წერილით დ. ბ.-ს განემარტა, რომ ორგანიზაცია თავად წყვეტდა რომელ საქმეზე რა აქტივობა განეხორციელებინათ. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკავშირდებოდნენ ბენეფიციარს. ასევე ეცნობა, რომ თუ დ. ბ. მსგავსი ფორმით აპირდება ორგანიზაციასთან ურთიერთობის გაგრძელებას, გადაიხედებოდა მისი და მისი მეუღლის საქმის წარმოების საკითხი. დ. ბ.-ს პოზიციით ორგანიზაცია ორ თვეზე მეტი ხანია მის უფლებებს იცავდა, არც პროკურატურამ და არც შსს სამინისტრომ არ გასცა მათ წერილებს პასუხი და მოითხოვა განმარტება, ამ პროცესის განმავლობაში რა მოიმოქმედა ან რა ღონისძიებებს გეგმავდა ორგანიზაცია. 08 ნოემბერს მეორე წერილით ადვოკატმა ე. ქ-მა ელ. ფოსტის მეშვეობით აცნობა დ. ბ.-ს, რომ ორგანიზაციამ განიხილა მისი და მისი მეუღლის საქმის წარმოების საკითხი და მიიღო მათ საქმეებზე მომსახურების შეწყვეტის გადაწყვეტილება. ადვოკატმა დ. ბ.-ს ასევე აცნობა, რომ პროკურატურაში გაგზავნილ განცხადებაზე პასუხის მიღების შემთხვევაში პასუხს გაუგზავნიდნენ.

პროცესუალური ისტორია

2016 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა დ.ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ე.ქ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინაიდან ადვოკატმა არ გაუწია ჯეროვანი და ეფექტური მომსახურება; ორგანიზაციამ უსაფუძვლოდ შეწყვიტა მისი მომსახურება.

სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან, დაცვის შეწყვეტასთან დაკავშირებით იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის შესაძლო დარღვევაზე. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორმა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას, ადვოკატი ე. ქ კი წარმოადგენდა მოცემული ორგანიზაციის

¹ <https://gba.ge/pdf/5c482e21ce353.pdf/5c482e21ce353.pdf>

იურისტს, შესაბამისად ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პროცესი განსხვავდება შეთანხმებით აყვანილი ადვოკატისაგან მომსახურების მიღებისაგან. კერძოდ, ორგანიზაციის იურისტი მოქმედებს ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, მიმდინარე პროექტების ფარგლებში და გადაწყვეტილებას საქმის აღების, საწარმოებელი საქმის სტრატეგიის, საქმეზე მომსახურების შეწყვეტის შესახებ არ იღებს დამოუკიდებლად. კომისიამ ურთიერთობის შეწყვეტა შეაფასა ეთიკის კომისიის N047/12 და 048/12 გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბებული სტანდარტებით და მიიჩნია, რომ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი. კომისიის განმარტებით მოცემული მუხლი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე, პატივსადები საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი საქმის წარმოებაზე. მიუხედავად მოცემული უფლებისა, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ადვოკატმა რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კერძოდ, შეაფასოს მომსახურებაზე უარის თქმის დროს საქმის არსებული გარემოებები; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ამბობს ადვოკატი უარს კლიენტისათვის მომსახურების გაგრძელებაზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის დასაბუთებას და მისი საფუძვლიანობის შემოწმებას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს, ხოლო შეწყვეტის სხვა წინაპირობები მოცემულ შემთხვევაში დაკმაყოფილებულია: მომსახურების შეწყვეტით დ. ბ.-ს საპროცესო უფლებები არ ირღვეოდა, იმ ეტაპზე ორგანიზაცია ელოდებოდა პროკურატურის პასუხს და სხვა აქტივობები დაგეგმილი არ იყო; დ. ბ.-ს ცენტრის წარმოებაში არსებული საქმის სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ჰქონდა გონივრული დრო და შესაძლებლობა საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ იურიდიული დახმარების მიღების მიზნით სხვისთვის მიემართა. გარდა ამისა, საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები, რომლებიც უკავშირდება 20 ოქტომბრამდე პერიოდს ვერ ვერ შეფასდება ადვოკატ ე.ქ.-სთან მიმართებით, ვინაიდან იგი სწორედ ამ თარიღიდან ჩაერთო საქმეში.

დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ქ-ის მიმართ არ უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა.